

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ეროვნული თავისუფლებისათვის
 ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ეროვნული თავისუფლებისათვის


ეროვნული
 ბრძოლისთვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
 გამოდის 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№44 (1482)

23-26 სექტემბერი, 1996 წელი

სუანისები
საქართველოში
ანუ
რა აღუვებს
ღრუს
საქართველოს...



შანი, ჩვენი ბრალი

პარლამენტი
მზად არ არის!!!

გახსოვთ მურმან ლებანიძის ლექსი „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...“
 სამწუხაროდ, აფხაზეთი „იმ კაცს“ უკვე ხელში უჭირავს, ხოლო თვალი, აწი ჩვენ, ქართველებს გაგვირბის იქით, თვალი ცრემლიანი.
 ვრცელი რეპორტაჟი ამ საკითხზე იხ. მე-3 გვერდზე.

ერთი „ფსიანი“
ჩინოვნიკის
საქმიანობის
გამო

ვერთხა გვერდი

მე-11 კლასელებო,
აბიტურიენტებო!

დღეიდან თვალი ადევნეთ გაზეთ „საქართველოს“. მე-5 გვერდზე ყოველთვის დაიბეჭდება მასალა, რომელიც დიდად წაგადგებათ ცოდნის შევსებისთვის, გამოცდების უპროტექციოდ ჩაბარებისათვის...
 ვიწყებთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ განხილვას.
 ვფიქრობთ, ამ საპროგრამო რომანის ანლებურად გააზრების ცდას ფართო მკითხველიც მიადევნებს თვალს.

იქმნის გუბრდი სან
 კანგია, სან უკეთესი.
 დღეს იქმნის გუბრდში
 საუკეთესო მასალას
 წაიკითხავთ...

მეშვიდე გვერდი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი საქართველოში

ათხაზეთი იმ კაცს ხელში უჭირავს...

გახსოვთ მურმან ლებანიძის ლექსი „ათხაზეთი იმ კაცს თვალი უჭირავს“...
სამწუხაროდ, ათხაზეთი „იმ კაცს“ უკვე ხელში უჭირავს, ხოლო თვალი, ან ჩვენი, ქართველებს გაგვირბის იქით, თვალი ცრემლიანი. ათხაზეთი ფაქტობრივად ჩვენი აღარ არის. კიდევ ერთ მორიგ პარლამენტს, კიდევ ერთი მორიგი საუბარი უნდა მიძღვნიდა პარლამენტში ათხაზეთის თემის. კიდევ ერთხელ, მორიგი გადადება მოხდა ამ საკითხისა...

ახლახანს პარლამენტის სხდომაზე ზურაბ ჟვინია განცხადება რუსეთის სამშვიდობო ძალების საწინააღმდეგოდ მოწოდებდა ცაზე მეხის გაფარდნას. პავლე, ვინაიდან მოქალაქეებისთვის იმ აზრის გამოთქმას არავინ ელოდა, რომლისთვისაც ადრე თხოვიდას ქვა და გუნდით უმასპინძლებდნენ. ერთის მხრივ, ზუჟანიას განცხადება შეიძლება განაპირობებდეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით მოქცევას, რაც ახალი გამოსავლის ძებნის დასაწყისი გახდება. ამიტომ ეს მანერა, შესაძლოა, სპარატისტოა შემოქმედებაზე ან რუსეთის გააქტიურებაზე გათვლილი.

მეორეს მხრივ, ეს განცხადება გაკეთდა ისეთ ვითარებაში, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა. ხოლო მისი საბოლოო სიტყვის გარეშე გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. ამიტომ სამშვიდობო ძალების საკითხი შექანიკურად სამომავლოდ გადაიწვეს, სამაგიეროდ საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობასთან „მომგებიან“ ქულებს ჩაიჭერს ამ მიზნებისათვის გააქტიურებით თანაც დანიშნული სხდომა ათი დღით გადაიდოს. ვინაიდან მოქალაქეთა კავშირი, რატომღაც მხარე არ აღმოჩნდა, საბაბად კი ათხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია იქნა დასახილველი, რომელზეც აღნიშნული პრობლემა პირველად განიხილება და სათანადო წინადადებებზე საქართველოს პარლამენტში შემოვა. ეს კი ხელისუფლების დანიშნულებაა უნდა გათვალისწინებულიყო. უახლოესი მოვლენების განვითარება გამოკვეთს, თუ რომელი ვერსია აღმოჩნდება სწორი. ფაქტი ერთია, ათხაზეთის საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ, ბოლომდე, ათხაზეთზე გადაიდოს, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ვერაფრით აღმოჩნდა მხარე მხარეული გუნდი ამ მძიმე საკითხის განსახილველად. გავსაუბრეთ რამდენიმე სახელმწიფო პირს ამ საკითხთან დაკავშირებით.

თამაზ ნალარაიშვილი:
ამ პოზიციაზე თავიდანვე ერთნაირად რომ დაგმდგარიყავით, უკეთეს შედეგსაც მივიღებდით

ათხაზეთის საკითხს 2 საათში ვერ განვიხილავდით, ვინაიდან მოსმენა 4 საათისთვის იყო დანიშნული, ხოლო პარლამენტი მუშაობას 6 საათზე ამთავრებს. თანაც დანიშნული იყო კომისიის თავმჯდომარის, ბატონ ველოძის ანგარიში. ჩვენ ასეთი დღის წესრიგის მომხრე არ ვიყავით, ამიტომაც პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზუჟანიამ ჩვენს წინადადებას დაუჭირა მხარი, რომ 1 და 2 ოქტომბრის სხდომები მთლიანად ათხაზეთის საკითხს მიეძღვნა აქ. აღბრუნება გათვალისწინებული, რომ 26 სექტემბერს ტარდება ათხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც განიხილავს ამ საკითხებს და საქართველოს პარლამენტში თავისი წინადადებებით შემოვა. მეგონა, რომ პარლამენტმა გარდატეხის დადგენილებები უნდა მიიღოს. მთხარული ვიქნები, თუ ჩემს პოზიციას შეგი ხალხი გაიხიარებს. მშვიდობიან და პოლიტიკურ გზას არ

გაფურთხავთ, მაგრამ პოზიციების შეფასება უფრო რეალურად ხდება. პარლამენტის თავმჯდომარის ასეთმა განცხადებამ მოსკოვის სხვადასხვა წრეებში პატარა პანიკაც შექმნა. ამ პოზიციას თავიდანვე ერთნაირად რომ დაემდგარიყავით, უკეთეს შედეგსაც მივიღებდით. აღბრუნება ამ აზრის მომწოდებელს დრო სჭირდება. ორი-სამი წლის წინ მე, ლტოლვილების გარდა, ბევრი მხარდამხვერი არ მყავდა. დღეს კი შეიძლება ვთქვა, რომ ამ პოზიციას საქართველოს უმრავლესი მოსახლეობა იხიარებს. რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს პროცესი, მით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რადგანაც დაიწყო, ისიც კარგია.

შალვა ნათელაშვილი:
რა საჭიროა ზედმეტი ტაში

ათხაზეთის საკითხის გადადება, ერთის მხრივ, შეიძლება პოლიტიკური მანევრად იყოს და მეორეს მხრივ, შეიძლება არც იყოს. ეს საკითხი კარგა ხანია გადადებულია და ამაში ახალი არაფერია. აღბრუნებული ხელისუფლება ვალდებულია ყველანაირი საშუალებებით სვალის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მათ შორის მშვიდობიანი, კონსერვატიული, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის კლასიკური გზები ერთ-ერთია მათგანმა მანერა უნდა გამოვიყენოთ. არ მინდა ვთქვა, რომ გამოსავალი აღარ არის - დემოკრატია დაგვიფაროს. თუ წარსულის გამოცდილებას გავიხსენებთ, ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ცეცხლის გახსნა ყოველთვის ჩვენი დამარცხებით მთავრდებოდა. ახლაც, მგონი, მსგავსი პროცესი იწყება და კარგი პროგნოზის საფუძველს არ იძლევა. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება იმ დღეს მოულოდნელი იყო. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ რუსეთი ამჟამად ფაქტობრივად ხელისუფლების გარეშეა. ამიტომ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელებში ერთი სუბიექტის პასუხისმგებლობა რამდენიმე შედეგებისთვის აღარ დადგება. ამის სამაგალითოდ 9 აპრილის გახსენებაც იკმარებს, როდესაც ვერვინ გაიგო, თუ ვინ იყო იმ საბჭოს წევრი ბრძანების გამტყვეში. გავიხსენოთ ათხაზეთის ეპოპეა, როდესაც ვერ ვაფრთხილეთ, თუ კონკრეტულად ვინ იდგა ათხაზეთის უკან დღეს, როდესაც ფაქტობრივად რუსეთის ხელისუფალი ბოულეტენზეა, ზუსტად ახლა მაღალი კარგი შანსი მივიღებთ რუსეთის პოლიტიკურ წრეებს, რომ ვთქვათ - ჩვენ არაფერი ვიცით, რა მოხდა და ყველაფერი ერთმანეთს გადააბრუნონ. მიმანინა, რომ მომხმენი არასწორად შეირჩა.

ბოლო დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გააქტიურდა საქართველოს მიმართ კონკრეტული განცხადებების გაკეთებაში. ეს არ მინდა არასასიამოვნო შედეგებს დაგუკავშირო, მაგრამ მინისტრის მოადგილემ, მგონი მასლიუკოვსკიმ, რომელიც რომანებსაც წერს, სასხვათაშორისოდ განაცხადა, რომ საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ საქართველო რუსეთმა თავის სასიცოცხლო ზონაში მოაქცია. ჩვენ ამას მივესალმებით. ჯერჯერობით მინიშნებებითა და თუმცა მთლიანად არაა თამაში. მეტყვეობა, რომ ჩვენი პოლიტიკა დღეს დაპროგნოზებული იყოს, საერთოდ, ზედმეტი ტაშია რა

საჭიროა. როცა შედეგი მოვა, ტაშიც ავტომატურად იქნება.

ბენო კალანდია:
უნდათ დევნილები შეიტყუონ, სმა მიაცემინონ, შემდეგ კი უკან გამოდევნონ

რა თქმა უნდა, მინდოდა, რომ საკითხი დღესვე განხილულიყო. ამის შესახებ პარლამენტის ხელმძღვანელობასთან საუბარი მქონდა და გადაწყვედა, პრობლემა 1-2 ოქტომბერს განვიხილოთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოქალაქეთა კავშირი ამისთვის მზად არ იყო, თუმცა, ერთხელ-დემოკრატებმა თავიანთი პროექტი წარმოადგინეს. ამიტომ, ნაქარვად, დღეს, განხილვა მიზანშეწონილი არ გახლდათ. კომისიის მუშაობაზე მოხსენება ვებტანვ ყოლბაიას უნდა გაეკეთებინა, თუ რა შესრულდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ არაფერი შესრულებულია. ათხაზეთის საკითხი არ შეიძლება სხვათაშორის იყოს განხილული. ორივე მხარე მომზადებული უნდა იყოს. კომისიამ მართლა იმუშავა, მაგრამ მას პრაქტიკული განხორციელების ძალიან ცოტა შესაძლებლობები აქვს.

26 სექტემბერს გავაქვს ათხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია. გარკვეული წინადადებებით შევადლო საქართველოს პარლამენტის წინაშე და ასე მომზადებულად შეხვედრა უმჯობესი იქნება.

რაც შეეხება ათხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს, არძინბა ინტერვიუში ლაპარაკობს, რომ გალის რაიონში 30-40 ათასი ქართველია. ფაქტობრივად კი 20-25 ათასზე მეტი არ არის. ჩვენს ყურს ასევე იმას, რომ იქ 65 ათასი ქართველია, რომ არჩევნები ჩატარდეს. ყოველნაირად უკლებიან მონაწილეობაც მიადებინონ ამ დაშინებულ-დაბნელებულ ხალხს. უნდათ დევნილები შეიტყუონ, სმა მიაცემინონ, შემდეგ კი მათ ყოველ გამოდევნიან. ეს კი, ჩვენმა ხელისუფლებამ წინასწარ უნდა გათვალისწინებოდა. თუკი ეს საპარლამენტო დებატები შედეგს არ გამოიღებს, მაშინ ადგილობრივმა მოსახლეობამ რაღაც ქმედითი ღონისძიება უნდა გაატაროს არჩევნების ჩასაშლელად. ეს როგორც გინდათ ისე განსაზღვრეთ. ჩვენ, თქაური ხალხი კი მზად ვართ.

ჯანო ჯანელიძე:
ერთადერთი გზა მასობრივი პარტიზანული მოძრაობის დაწყებაა

ჩემს ყოველ გამოსვლაში გამობოდი, რომ მშვიდობიანი მოგვარების გზამ ათხაზეთი დაგაკარგინა. დაიწყოთ მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულებიდან, 2 ოქტომბერს ხომ ვაგრა დაიკარგა. ამის შემდეგ უნდა მოემხედარიყავით, რომ რუსეთის უმაღლესობით ვერაფერს მივალწვედით.

ყველამ არ იცის ის ფაქტი, რომ მოსკოვში 14 მარტს მოლაპარაკებები მიდიოდა, როდესაც 15 მარტს, ღამით, შეტევები დაიწყო. მაშინ სოხუმი სასწაულებრივად გადაარჩა. მოსკოვიდან რომელიღაც რუსი გენერალიც ჩამოვიდა მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოვლენები პირობითი განვითარდა. ტამიშის დესანტის განმოსხმისას ასევე მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რის შედეგადაც დიდი მსხვერპლი გავიდა. გამოაცხადეს დესანტის თითქოს ლიკვიდაცა, მაგრამ ნაწილი ტყვეარჩეულში გადავიდა. დამაგვირგინებელი, 27 ივლისის ხელშეკრულებაც გვახსოვს, რომლის წინააღმდეგაც ათხაზეთის დებუტაცია იყო. როგორც

კი სოხუმიდან უკანასკნელი გემი მძიმე არტილერიით დატვირთული გავიდა, 16 სექტემბერს შრომიდან შეტევაც დაიწყო. როგორც ხედავთ, ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ წარიმართა.

ბატონი ედუარდისთვისაც მოთქვამს, რომ როდესაც იგი ამბობდა, ბატონ არძინბას შეეხვედები, სადაც მოისურვებო. ამით არძინბა ხომ აფიქსირებს თავის ოფიციალურ წარმომადგენლობას. ამიტომაც მსოფლიოს მასშტაბით გაიძახის, ორი სახელმწიფოს მეთაურები ხვდებიან ერთმანეთს.

პირველ ეტაპზე სამშვიდობო ძალების ჩადგომა შეიძლება გამართლებული იყო, ვინაიდან ომი შეწყდა. შემდგომში კი ეს პროცესი აღარ განვითარდა და დაკონსერვდა. უცხეთის სახელმწიფოებშიც ათხაზეთს წარმომადგენლები პყავთ და დროის გაყვანაც აწყობთ. არსებობს შეპარული პოლიტიკაც, რომელითაც ყველაფერს ალწვევენ.

ამ კონფლიქტის მოგვარება ნაცარქექიას პოზას მაგონებს ადრე თუ გვიან მოგვიწევს ჩვენი პოზიციების დატოვება და იარაღის ხელში აღება. ჩვენს ხელისუფლებას ათხაზეთის დაბრუნება რომ უნდოდეს, ამისთვის ერთადერთი გზა ჯერჯერობით მასობრივი პარტიზანული მოძრაობის დაწყებაა, თუ სახელმწიფოს პირობა არ უნდა, მაშინ ხალხს მისცენ იმის საშუალება. რომ მათ სახლებში ვიდაც ვიგინდარებამ არ იცხოვროს.

სამშვიდობო ჯარების მანდატში რომ რამიმე შეიკვდილოს, ამით მდგომარეობა არ გამოსწორდება. რუსეთის ძალების უარყოფითი განწყობა ქართველების მიმართ გაგრძელდება. 17 აპრილის პარლამენტის დადგენილებაში არის, რომ კიდევ იურიდიკალი არ აღდგება, მანამდე მოსახლეობის შეყვანაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავი შეგუკავებინა. მაგრამ როგორც განათლების მინისტრი, მეც ხელს ვუწყობდი სწავლების პროცესის წინსვლას. ახლა კი გალის რაიონში პირველ-მეორე კლასში სწავლა რუსულად მიმდინარეობს. ახალგაზრდების ჯარში ვაწვევაც დაიწყო. გალის რაიონის არჩევნებში 9 სადეპუტატო ადგილის აძლევენ, რომელთა ხარჯზეც დაგკარგავთ ხალხს. იქ შეუღლები მონები არიან. მონა კი თავის გადასარჩენად ყველაფერზე მდის. ამიტომ ვინც გადადის, იგი საქართველოსთვის დაკარგულია. მეორე საკითხია ის, რომ სახელმწიფო დევნილებს ვერ უშლის. ამიტომ მიმანინა - თუკი არჩევნებში გალის მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს, ტერიტორიასთან ერთად მაიაც დაგკარგავთ. ყველაფერი გვემაზომიერად რუსეთის კარნახით კეთდება და მიზანსაც აღწევენ. 5 აპრილის საპარლამენტო სხდომაზე აღვნიშნე, რომ პასტუხოვის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ყოველი შეთანხმების მიღება, რომლებიც ჩვენთვის კრახით დამთავრდა. ამის შემდეგ დღეს იგი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ

ლი მოადგილეა. აშკარაა, რომ გატარებული პოლიტიკისათვის დააწინაურეს მჯერა - თუკი ათხაზეთი ცალკე რესპუბლიკას გამოაცხადებს, იგი მინისტრი გახდება.

ასეთი დათმობებით ჩვენში სულაც და კინიც ჩამკვდარია.

გივი ლომინაძე:
გააზრებული უნდა გვექნოდეს, სამშვიდობო ჯარის გასვლის შემდეგ რა ნაბიჯს გადავდგამთ

სხდომის გადადებაში არც უარყოფითი ხედავ და არც დადებითი. 4 წლის განმავლობაში რუსეთთან ჩამოყალიბებული პოლიტიკა არ გვექონია. ამ პარლამენტის სხდომით რეალურად არაფერი შეიცვლება, ვერც შორს წავალთ, თუმცა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა აქვს.

შეგარდნების ბოლო ინტერვიუში ნათქვამია, რომ ვართ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები, მაგრამ საკითხების გადაწყვეტა არ ხდება. რაც მთავარია თქვა, ცოტაც უნდა მოვითმინოთ, ცოტა უნდა მოვიცადოთ და შემდეგ მივიღოთ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც დროისა და მომენტის შესაფერისი იქნება. ზუჟანიას გამოსვლა ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ამ აზრის გაგრძელებაა. რუსეთ-საქართველოს შორის ამ ათ დღეში შეიძლება რამიმე საკითხები გაირკვეს. მე პირადად არ ვიცი, თუ შედეგს რუსეთის პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით არ მოველო და ეს ილუზია იქნებოდა.

ჩვენი მხრიდან ამისთვის დროც კარგად არაა შეჩვენული. არჩევნების დანიშნვა ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. მაგრამ რაღაც ნაბიჯი გადასადგმელი იყო ამას ვეუყურებ. როგორც პირველ აუცილებელ ნაბიჯს, მაგრამ მას თუ არ მოჰყვა თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება, მაშინ ეს იქნება მორიგი არაფრისმიმცემი დემარში, თუ ვიტყვით. ჯარი გავდევს და მივეყვით ამას ბოლომდე. სანამ რუსეთის პოლიტიკურ კურსში ცვლილება არ მოხდება.

გაასრულებელი უნდა გვექნოდეს, სამშვიდობო ჯარის გასვლის შემდეგ რა ნაბიჯს გადავდგამთ და რას მოვიმოქმედებთ, ვინაიდან საომარ ვითარებაში აღმოჩნდებით. ამისთვის გემართებს ევროსაბჭოსთან და გაეროსთან პოზიციის გააქტიურება. ვინაიდან რაც მათი მხრივ კეთდება, ეს არის ნეპარატისტების მიერ ჩატარებული ერთკური წმენდა და გენოციდის შედეგების დაკანონება, როგორც ეს პრეზიდენტმა განაცხადა. თუ სამშვიდობო ძალებს გავიყვანთ, მათ მაგვირად სხვა ქვეყნის საჯარისო დაწინაურება გავიყვანთ უნდა დაიკავონ ადგილი, რაც უახლოეს პერიოდში არაფერად დამანინა. ყოველივე ეს ამ 10 დღეში ყველამ კარგად უნდა გაანალიზოს და გააცნობიეროს, ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები მნიშვნელობის იქნება.

მოამზავა
ზუზუა მამარაშვილი





მე-11 კლასიკებისა და აბიტურიენტებისათვის

კონსტანტინე ბამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

გ ა ნ ხ ი ლ გ ა

ნოლარ ბრიგალაშვილი

წინათმბა

ადამიანები ტომურსა და გენებზე, ჯოგურ იმპულსებს ვერ გასცდებიან...

ხელოვანი თაობათა სულიერი ნათესაობის ნათელია...

გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ფიგურა“ ისევე ადუღებული კითხვებით...

წიგნი, რომელზედაც ვიწყებთ საუბარს...

რომანის დაწერიდან (1939 წ.) დღემდე...

რამდენი თანამოძიო პყლია მეფეთმეფე გიორგი პირველის სულიერ ტანჯვას...

ანთუქულან ზვიად ერისთავის სიმტიციით...

რამდენს ასწავია სული თაგურძე ქართველების მიერ მიძმის მოსაკვინებლად...

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ძველი საქართველოსა და ძლიერი გენებებით...

არაფერია უფრო ღირიკული თაობათა გადაძახილში...

სხვა ყველაფერი, მის სახელიან დაკავშირებული...



თავი I

პროლოგი და აპოლოგია ანუ „დიდოსტატის მარჯვენა“ ჭავჭავაძის დრო

ორიოდე სიტყვა სწორედ დროებითა და წარმავლზე.

ნაწარმოებს უძლევის პროლოგი და ერთვის ბოლოთქმა როგორც წესი...

შემდგომ ეს ეტიკეტი დაირღვა, მაგრამ პროლოგსა და ეპილოგს...

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში...

კომიკურია, საფუძვლი ტრაგიკული რომ არ ჰქონდეს...

ყველაფერი ღირებული შეიცვალა, - ვამბობთ.

თვალსაზიწინებისათვის ორიოდე მაგალითი გავისვენოთ.

ოთარაანთ ჭერივის გიორგის თუ ადრე თავადის ქალის სიყვარული...

ახალ დროში მდიდრის ქალი-იშვილზე შეგარებული ბოგანო...

ჩათვლებოდა ნამდვილ მამაკაცად, თუ თავის საყვარელს...

ერთი სიტყვით, არ გაგივირდეთ, იმ უცნაურ ხანაში...

არათუ მწერლობაში, ასე იყო ხელოვნების ყველა დარგში...

მკვლევარს კომპოსტოს ჩითილების ახალი გზის გამოყვანის მეთოდი...

ახლა წარმოდგინეთ მწერალი, რომელიც დიდი საქართველოს მონაზრებაზე...

„დიდოსტატის მარჯვენა“ არა მხოლოდ მხატვრული შედევრია...

სვეტიცხოვლის ტალანტში ჩრდილივით მორიალუ თეთრწვერა ეჭვით...

„ნაციონალური ბიზანტიის ხელისუფლებაში, ვენაცეალე მას, გადახურვინა იგი წრეულს...

ვინც იმ ეპოქას (ტაძართა ნგრევის ხანას) და კონსტანტინე გამსახურდიას...

დაისტამბა რომანი, მართლმადიდებელი ბიზანტიისადმი...

სოფლისტურმა პარადოქსებმა სხაბი მისცა ზოგიერთს...

ბოლოთქმაში მწერალს უხდება მტკიცება იმისა...

სხვათაშორის, მწერლისეული განმარტებების იძულებითი...

„ნაციონალური ბიზანტიის ხელისუფლებაში, ვენაცეალე მას, გადახურვინა იგი წრეულს...

ფორპოსტი დასავლეთური დიდი ცივილიზაციისა.

„თუმცა ქართველები და სომხები ცალკეულ პერიოდში ებრძოდნენ...

აქ არაფერი წერია უმართებულო, მაგრამ თუ „დიდოსტატის მარჯვენას“ მთელ რიგ პასაჟებს...

საქმე ის არის, რომ მთავარი და ყველაზე საშიში ბრალდება...

აქ კი მწერალმა დაასწრო და სხვა ბრალდებათაგან განსხვავებით...

ანალოგიის ძებნა მართლმორწმუნე ბიზანტიას და წითელ რუსეთს...

სტალინს შეხედეთ ერთი ქვეყნის დროში და გულში გაიფიქრებს...

- რა თქმა უნდა, პიტლერის მისამართით - წამოიკვლია მხილველთა...

- აი, ამხანაგი პეტრე ამბობს, რომ ღორი პიტლერია...

ცხადია, რომანის პროლოგსა და ბოლოთქმაში მწერლის მხატვრული კონცეფციის შესახებ...

გაგრძელება იქნება

მს ხაინტაჟისა

ბილ კლინტონი

1963 წელს მან სკოლი ჩამთავრდა უჩინდის; ახალგაზრდა მილიტარის ეს პოლიციურად „მისის დაცვის“ ბგავდა. 30 წლის მუბრეც იგი თითბი ხასლის ცახლომს იღემს ჯიმიში. ახლა კი, პრეზიდენტის მანდატის მიტბუ ვადით ცატბოლმაც ხელ ეტბბი ბრალუბი ხდმვა.


1. უმხმბრი

ბილ კლინტონზე ვერ იტყვი, პერანგში დაიბადო. თავიდან იგი უილიამ ბლაიითის სახელს და გვარს ატარებდა. ეს მისი ნამდვილი მამის გვარია, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა მის დაბადებამდე 3 თვით ადრე. 1946 წლის 19 აგვისტოს, ბავშვი უმამოდ იზრდებოდა, დედასაც იშვიათად ხედავდა. დეუკმა-პური რომ ეშოვნა, ბილის დედა ფერმალ-ანესთეზიოლოგის კურსებზე დადიოდა და ბავშვზე დედის მშობლები ზრუნავდნენ. ბაბუას ერთი პატარა გასტრონომიული მაღაზია ჰქონდა და ოჯახი დიდი გაჭირვებით ირჩენდა თავს. ბილი 7 წლის იყო, როდესაც დედამ ხელმეორედ იქორწინა. მამინაცვალს როჯერ კლინტონი ერქვა. ოჯახური ცხოვრება იმთავითვე ვერ აეწყო. ლოთი და უხეში როჯერი ცოლს ცემდა. 14 წლის ბილი გადაწყვეტს ამ უმსგავსობას ბოლო მოუდოს. „გაფრთხილებ, აზრდაც არ გაიფლო ოდესმე ხელი აღმართო დედაზე“ - განუცხადა მან მამინაცვალს.

2. ცხოვრების წესი

ბილი მადას არ უჩივის და პირის გემოც კარგი აქვს. განსაკუთრებით უყვარს ძაწის თხილის კარაქი და ბანანები. პამბურგერს ნაკლებად ეტანება, ყავასა და კოკა-კოლას საერთოდ არ წყალობს. სასმელიც არ უყვარს. ზოგჯერ ერთ ჭიქა ლუდს თუ დალევს, დვინოს კი იშვიათად სვამს. 98 კილოს იწონის, სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდარვა სანტიმეტრია. რაც თუთრ სახლში დასახლდა, საგრძნობლად გახდა და თმებიც ერთიანად გაუჭადარავდა. ბილი არ ეწევა, დიდი-დიდი ერთი სიგარა თეთრი სახლის აიგანზე, რადგანაც, ოთახებში, პილარის განკარგულებით, მოწევა სასტიკად აკრძალულია. „სასიყვარულო ფრონტს“ რაც შეეხება, ბილი ხშირად გადაურჩა უსიამოვნებებს. დილით აუცილებელი გარბენა, მას კარგი ძილი აქვს, თუმცა ერთობ ხანმოკლე - 6 საათი დღე-ღამის განმავლობაში. ზოგჯერ სამუშაო კაბინეტის მომდევნო პატარა ოთახში ისვენებს. სამუშაოს ცხრის ნახევარზე იწყებს, დილის საუხმისას კი ერთი სენდვიჩით კმაყოფილდება, თუ არ ჩავთვლით ყოველკვირულ ტრადიციულ საუხმეს ვიცე-პრეზიდენტ კლგორთან ერთად. საღამოს შვიდ საათზე აპარტამენტებში აღის და ოჯახურ წრეში სადილობს. შემდეგ კი ისევ სამუშაოს უბრუნდება. კლინტონები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩელსის, თავიანთ ქალიშვილს, პრესის უზომო ინტერესი არიდონ. პრესაც თანაგრძნობით ეკიდება პრეზიდენტის ოჯახის სურვილს: არც ინტერვიუ, არც სურათი.

კლინტონს ძალიან უყვარს ვეგუფური თამაშები, განსაკუთრებით ბანქო და ხშირად თამაშობს თვითმფრინავით მოგზაურობისას. იგი თავგამოდებული მკითხველია



- კვირაში ოთხ წიგნს კითხულობს, ხშირად, ოთხივეს ერთდროულად. ბეტსელერებს, დეტექტივებს და ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს თვალის დახამხამებაში „ყლაპავს“. მანქანას ცუდად ატარებს, მაგრამ მანქანებზე გიჟდება. თავის საყვარელი 1967 წლის „ფორდ-მუსტანგი“ ლიტლ-როკის მუზეუმშიც კი მოათავსა. გოლფი პრეზიდენტის საყვარელი სპორტია; თეთრი სახლის გაზონზე საწვრთნელი მიუდანი მოაწყო და დარტყმებში ვარჯიშობს. აი, ქალბატონ პილარის კი, სპორტი ღრის ამოხარჯვად მიაჩნია.

3. მემოლევი

ბილ კლინტონთან ურთიერთობა სასიამოვნო საქმეა. იგი გულბოლი, მომღიზიარი და ყურადღებიანი თანამოსაუბრეა. მას უყვარს ადამიანები და ყურადღებით უსმენს მათ, რადგანაც სწამს დიალოგისა და სიტყვიერი პაექრობის სიკეთე და სარგებლიანობა. თუ დააცლი, საათობით შეიძლება ილაპარაკოს. ბილს ერთი გამორჩეული ფრაზა აქვს, რომელსაც ხშირად ხმარობს, რათა ხაზი გაუსვას სასაუბრო თემის მნიშვნელობას: „ეს დიდი საქმეა“. (It's a big deal). ბილი კარგი ორატორია, თუმცა, კარიერის დასაწყისში დიდი ენამტკურობით არ გამოირჩეოდა. იგი კარგად იმფორმირებული და მიაჩნია, რომ ყველაფერში ურკვევა. 1996 წელს, ოპიოს შტატში მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებიდან, ქვეყანას სოფლის მეურნეობის საკითხების მასავით მკოდნე პრეზიდენტი აროდეს ღირსებია, ისიც არაერთხელ უთქვამს, რომ ნებისმიერ პრეზიდენტზე მეტი დრო გაატარა სასწავლო თუ სამკითხველო დარბაზებში, საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უნივერსიტეტის ჩათვლით. „ყოფლისმცოდნე ბატონის“ იმიჯი, შორიდან იღებს სათავეს:

4. ბარამოცვა

ბილის თუთრ სახლში მოსვლის შემდეგ პრეზიდენტის გუნდი საგრძნობლად გადახალისდა. კლინტონი აღიარებს, რომ თავის დროზე მას დიდად არ უმტკრევა თავი იმის გაცნობიერებაზე, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან შტატისა და მთელი ქვეყნის მართვა. ამიტომაც, პირველ ხანებში, მეტწილად „თვითშემოქმედება“ და „ყმაწვილური გზნება და უინი“ ჭარბობდა - აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ სკამებზე გამოუცდელი „ბიჭები“ და პოლიტიკურად უმწიფარი მხაკაცები წამოსკუპდნენ. ბევრი შეცდომისა და „ჩავარდნის“ შემდეგ, რის შედეგებსაც პრეზიდენტი დღესაც იმკის, თუთრმა სახლმა „ჭკუადამჯდარი კაცის“ იერი შეიძინა. კლინტონი „ჯამბაზობას“ მოეშვა, საქსოფონი შორს გადამალა და ონავარი მეგობრებიც დაითხოვა. ყველა ყველა, მაგრამ ერთ პიროვნებას მაინც ვერ შეეღია - ეს ვიცე-პრეზიდენტი ელგორია. დავიწყებას მიეცა პირველი ეტაპის „რუხი კარდინალი“ ჯორჯ სტეფანოპულოსი. ამჟამინდელ გუნდში ორი თანამოსაზრე გამოირჩევა: პირადი მრჩეველი დიკ მორისი, რომელიც 1978 წლის საგუბერნატორო კომპანიას ხელმძღვანელობდა და პაროლდ აიკისი,

ნიუ-იორკელი ვეკილი, რომელიც, თავის მხრივ, საპრეზიდენტო კამპანიას მეურვეობდა.

5. ხასიათი

კლინტონს „კომპრომისების მეფედ“ მიიჩნევენ. აქედან იღებს სათავეს მისი ბევრი გადაწყვეტილების არასრულყოფილება. ცნობილია მისი კიდევ ერთი საყვარელი ფორმულა „Don't ask, don't tell“, ე.ი. რაღაც მსგავსი გამოთქმისა „არც მწვადი დაწვა, არც შამფური“. (სიტყვა სიტყვით „არაფერი იკითხო, არაფერი თქვა“). ბილ კლინტონს დამყოლი ხასიათი აქვს, ამიტომაცაა, რომ ასე ადვილად ეწყობა ადამიანებს და სიტუაციებს. საკუთარი აზრის შეცვლაც დიდ ტრაგედიად არ ესახება. მისი პოლიტიკური გზნია იმაში მდგომარეობს, რომ ხვდება, თუ რას ელიან მისგან ამერიკელები ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში და მყისვე უქმნის თანამემამულეთ ილუზიას, რომ უსიტყვოდ ემორჩილება მათ ნებას.

„ბილი მუდამ მიხანსწრაფი პიროვნება იყო, - ყველა პრეზიდენტის დედა, ვორჯინია, - როდესაც პლაჟზე ქვიშის სასახლეს აგებდა, საქმეს შუა გზაზე აროდეს „მიაგდებდა“. მან უარი თქვა სტიპენდიაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა გაეგრძელებინა მუსიკალური განათლება (საქსოფონის კლასით) და ვაშინგტონის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის სტიპენდიანტობა ირჩია. შემდეგ მან ოქსფორდისა და იელის უნივერსიტეტებში გააგრძელა სწავლა. სწორედ იელში შეხვდა იგი პილარის. 1978 წელს არჩევნებში გამარჯვებული ამერიკის ყველაზე ახალგაზრდა გუბერნატორი, 1980 წლის არჩევნებში მარცხდება. ბილი მთელ არკანზასის შტატს შემოივლის, კარდაკარ დადის და ყველა ამომრჩეველს ერთადერთ კითხვას უსვამს: „მითხარით, გეთყავა, რას მიწუნებთ?“. ორი წლის შემდეგ იგი ხელმეორედ აირჩიეს გუბერნატორად.

ეროვნული გმირებისა

ლიტვონის დასთხარკი სოხანავე, ბილი საარჩევნო კამპანიების უცვლელი მონაწილეა. „გამარჯობათ, მე ბილ კლინტონი გახლავარ და ამა და ამ პოსტზე ვიყრი კენჭს“ - ეს იყო მისი გამორჩეული ფრაზა იმ დროს. 1963 წელი პოლიტიკური „მეხის გავარდნის“ წელი გახდა. არკანზასის შტატის ახალგაზრდული დელეგაციის წევრი, თეთრი სახლის გაზონზე, კენედის ხვდება და ხელს ართმევს მას. ისტორიულ ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ უბრწყინავს თვალები ახალგაზრდა ბილს.

1980 წელს იგი უკვე გუბერნატორია. 1991 წელს, ამერიკის გუბერნატორთა რეიტინგის სიაში იგი პირველ ადგილზეა. 1988 წელს კლინტონი გადაწყვეტს მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნების მართონში, მაგრამ გადაიფიქრებს, რადგანაც, მისივე სიტყვებით, „ჯერ კიდევ ემოციურად არ არის ამისთვის მზად“.

50 წლის კლინტონი მისთვის უკანასკნელ ეროვნულ კამპანიაში იღებს მონაწილეობას. 1993 წელს იგი ბევრ სიკეთეს შეპირდა თანამემამულეთ, მაგრამ, არჩევნების შემდეგ, ბევრსაც გაუცრუა იმედი, დღეს კლინტონი გამოზრმქედელი, დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსია, თუმცა ადრინდელი სიხალისე აღარ ახლავს. იგი ჭკმმარტი დემოკრატია, რომელსაც სწამს ძლიერი ხელისუფლებისა და რომელიც თავგამოდებით იცავს ფედერალური ძალაუფლების ატრიბუტებს. იგი აროდეს ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია პოსტ-პრეზიდენტული კარიერა, თუ არ ჩავთვლით ერთხელ ხუმრობით გამოთქმულ სურვილს, კენჭი იყაროს ლიტლ-როკის მერის არჩევნებში.

ლორინიკი ოლიგპრი („აშენი“, 31 აგვისტო, 1996 წელი) შრანგულიან თარბმნა ბიოგრი ეპიზაჟილმბ



Sa mere, Virginia

იუმორის გვირგვინი - წუთიან სპინეტი

ანაკლოზები და კურიოზები ტელევიზიაში მერაბ ბერაძე

- **მონაჩივი** წელი საშინელება იყო, - დაიწყო ბატონმა ირაკლიმ, - უბრალო რამეზე აუბედურებდნენ ადამიანს. კარებს, ფანჯრებს, კარდას, ნათურას, ყველაფერს თითქოს ყურები ჰქონდა გამოხმული და თუ რამე წა-მოვცდებოდა, ჩურჩულითაც კი, ისეთი, ოდნავ რომ არ მოეწონებოდა მთავრობას, გათავებული იყო შენი საქმე... პატარა ოთახი მქონდა მაშინ დაქირავებული: მარტო ეცხოვრებოდა ჭაღვიძის გარეუბანში. დრო ხომ საშინო იყო, მაგრამ კიდევ უფრო საშინო ის გახლდათ, რომ კვლის მუშაობის ნამდვილი შინაგანგებელი მყავდა. სწორედ მისი წყალობა იყო, რომ ჩვენს ეზოში და გვერდითაც, ნელ-ნელა თვლდებოდა ადამიანთა რიცხვი. კარის დაკავება ერთი სიტყვით იყო... რომ დაწვებოდა კაცი, ღმერთს ვეფერებოდა, მშვიდობიანი დილა გამოივლიდა... ჰოდა, ღამეა, ვწვევარ და ვფიქრობ: როდის დამთავრდება ეს საშინელება, როდის დაიბნეობ ხალხი მშვიდად? უცებ კარებზე კაკუნის გაგონა. წავედი, მით უმეტეს, რომ ამ დროს არაფერი იყო. კაკუნის განმეორება, ვიფიქრე, არ გავუღებ კარს, ვითომ შინ არა ვარ-მეთქი...



- ირაკლი, ნუ გეშინია, ვიჭტორი ვარ მე... - მომესმა გარედან დაგულული ხმა. - რომელი ვიჭტორი? - შენი თანაურსელი, გამიღე კარი, საიდუმლო უნდა გითხრა ერთი. თან წერელი უნდა გადასცე... - გამანებე თავი! - კი-ნაღამ ვიფიქრე, - არ მინტერესებს არავითარი საიდუმლო. ვერც წერლის გადაცემ ვიმეცხ...

- ირაკლი, მარტო შენ უნდა გავანდო! ვაი, შენს ირაკლის ახლა ამან მთავრობის კრიტიკა რომ დაიწყო, ხომ გამიყენებენ ციმბირის გზას... არა და გავგებულნი მაქვს, რაღაც საიდუმლო, ძირგამომხრელი ორ-განზავი აქვს ჩამოყალიბებული და საიდუმლო ხალხს აგროვებს... - ვიჭტორ, წადი ახლა და ხელა მოდი, თუ კაცი ხარ, ცუდად ვერძნობ თავს! - რაც შეიძლება ჩუმად ვუთხარი, მეზობელს რომ არ გავგო.

- არა, ვერ მოვიტყენ, დილაზე გავუქვებ საქმე! - იფიქრის ტირის ჩემი თანაურსელი. - ვერ გავიღებ კარებს. წნევა მაქვს, სურდო მაქვს, გრიპი მაქვს, კიბოც მაქვს, პრასტატა მაქვს, გული მაწუხებს... ვერ ვდგები ლოგინიდან... ხელა მოდი, - ვხევეყები და აშკარად ვგრძობ, მეზობელ საშას ყური შალერით აქვს მდებარე აკრული.

- მე მეგონა ვეცაკი იყავი! - ამოიხრა სტარმა და კიბებზე ჩასვლის ხმა გავიგინე. - შეველა! ვაღიფერე პირჯვარი და საბანი ვაღიფერე თავზე. არ მეძინება, ხომ შეიძლება, საშამ მაინც რაღაც საეჭუო იქნოს მის ეიზიტში. თანაც რამდენჯერ ასენა ვიჭტორმა, საიდუმლო მაქვსო, რა მეშველება? ამ ფიქრებში ვარ და, ისევე ისმის:


- ირაკლი, ბიჭო... გამიღე კარი, ადამიანი არ ხარ... დედა-მამა, სამშობლო არ გიყვარს? - არაფერ არ მიყვარს, გამანებე თავი... - ვხევეყ და ვხევეყ აქედან, მაგრამ ვინ მოგეშე? - სხვა გზა არ იყო და ოთახში შემოიღე, - ოღონდ ჩუმად, შენი ჭირიმე... - არა, ჩუმად როგორ ვთქვა, რაშია იცი, საქმე? - არ მინტერესებს... - ირაკლი, მომისმინე... - ბიჭო, არ გესმის ყური? არ მინტერესებს-მეთქი. წადი, სხვას უთხარი...

- არა, სხვასთან რა საქმე მაქვს, შენ უნდა გითხრა! - მომეკიდა ხელი და უნდა სკამზე რომ დამსვას. - გამანებე თავი! - ვიფიქრე და გავუხსლტი ხელიდან. მაგრამ სად ვეჭქევი მაგლის გარშემო და ვუღუღარებო - არ მითხრა არაფერი, არაფერი არ მინტერესებს! - თან ხელით ვანიწებ, მუნ-ჭურაღ: იქით მხარეს ჩასაფრებული მეზობელი გვისმენს და ხმა არ ამოიღო-მეთქი. მაგრამ ვიჭტორი კარზე დარბე-ვლი იყო, არ მომეშვა, კაცა რომ თავის გამოვლიდა, ისე დამ-დგეს: დაიღწე, ჭოშნი-ნი ამიტუდა. მუხლებში ძალა გამოვლიდა ის კი ვხედავებ მომეშვა და ერთსა და იმავეს იძა-ხის: უნდა გითხრა, უნდა გითხრა...

- ვატყობ, ძალა მე-ღვეა შიში იყო, ალ-ბათი, მუხლების კანკალი რომ დამაწყებინა... - არ მინდა, არ მითხრა! - უცებ წარმოვიდგინე, როგორ წამიყვანენ ჯერ მილიციაში, უმოწყალოდ მეცემენ, მერე გადასახლებენ... - არ მინდა, არ მინტერესებს... - კაცი არ ხარ... - კინაღამ მუხლებზე დავუწოჭე, - მომწონს მე ეს მთავრობა და რა გინდა შენ? - ირაკლი, ბიჭო, ერთი წამით, ერთი წამით დამიგდე ყური. რა შუაშია მთავრობა, ვინ მიყვარს, თუ იცი?... - რა? - უცებ გავშტერდი. - რა თქვი? - მიყვარს, ბიჭო, მიყვარს და... - ვინ გიყვარს? - შენი მამიდა-შვილი, თამილა! - თამილას დედა და შენი დედა... - ვიფიქრე, მაგრამ რა ვიფიქრე! გაოგნებულმა ვიჭტორმა ძლივს გამომასწრო ოთახიდან.

რომ დამაწყებინა... - არ მინდა, არ მითხრა! - უცებ წარმოვიდგინე, როგორ წამიყვანენ ჯერ მილიციაში, უმოწყალოდ მეცემენ, მერე გადასახლებენ... - არ მინდა, არ მინტერესებს... - არა, უნდა გითხრა! - არ მეშვება სტუმარი... - კაცი არ ხარ... - კინაღამ მუხლებზე დავუწოჭე, - მომწონს მე ეს მთავრობა და რა გინდა შენ? - ირაკლი, ბიჭო, ერთი წამით, ერთი წამით დამიგდე ყური. რა შუაშია მთავრობა, ვინ მიყვარს, თუ იცი?... - რა? - უცებ გავშტერდი. - რა თქვი? - მიყვარს, ბიჭო, მიყვარს და... - ვინ გიყვარს? - შენი მამიდა-შვილი, თამილა! - თამილას დედა და შენი დედა... - ვიფიქრე, მაგრამ რა ვიფიქრე! გაოგნებულმა ვიჭტორმა ძლივს გამომასწრო ოთახიდან.

პრო-პრო რაიონში გავგზავნეს მივლინებით. დაე-ზუსტებ - კრიტიკული წერილის საფუძველზე, უფრო სწორად, მასში დასახლებული ფაქტების შესამოწმებლად. მაშინ ტელევიზიას დიდი წონა ჰქონდა. სხვათაშორის, ბევრსაც ეშინოდა მისი. რამდენჯერ გამიგონია, ოღონდ ეკრანზე არ გამომაჩინონ და პირდაპირ წავლ სასჯელის მოსახდელად. მოკლედ, წავედი. მივლინება, საერთოდ, კარგად გვაქვს დაცლილი. მოგვხსენებთ, ადამიანი ასეა, სადაც გულიანად დახვდებიან, სადაც ღირსეულ სტუმარად მიიჩნევენ, იქ წასვლა მიუხარია კიდევ. თანაც, რაც მთავარია, გვერდით ენამოსწრებული ჰქონდა მყავს. ჩვედით. დიდს ამბით შეგვხვდა რაიონის პირველი მდივანი, წინასწარ გავგო, რისთვისაც ვიფიქრე რაიონში მივლინებული წერილში კი არც ისე სასიამოვნო სამი ფაქტი იყო აღნიშნული: თითქოს საბავშვო ბაღი, პოლიკლინიკა და პროკურატურა უკვე აშენებული გახლდათ, სინამდვილეში კი, ჯერ არც ერთის საბირკველი არ გავქრათ. მართალია, რაიონის პირველმა კაცმა ღიმილით მივხილო, მაგრამ აშკარად ვატყობ, გუნებაზე ვერ იყო ამ ფაქტების ეთერში გამშვება და მისი მოხსნა ერთი და იგივეა. არა და, როგორია უცებ ამოღონა თანამდებობის დაკარგვა? იმეტიმ არის, სულ შენ გენაცვალეს და შენი ჭირიმეს გვეუბნება:




- ცეცხლა ჟურ-ნალისტს პატრეს ვეცემ, მაგრამ ტელევიზიის მუშაობის განსაკუთრებ-ბით - გაუსვა ხაზი, თუშეა, რატომ, აღარ დააზუსტა, - თუ რამე გწამთ ამ ქვეყანაზე, ნუ გამოუბედურებთ და სამ თვეში საბავშვო ბაღი, პოლიკლინიკაც და პროკურატურაც მშ-ყობრში ჩაღებო. ხომ იცით, სიტყვის კაცი ვარ და რასაც ვიტყვი, იმას წყალო არ გაუყო.

ჯერ ერთი, ჩვენ საიდან უნდა გვეცოდნოდა, სიტყვის კაცი იყო თუ არა, საერთოდ, პირველად ვხედავდით და, მეორეც, ჩვენ ვინ გვიტოხვდა რომელიმე ობიექტის დამთავრების დროს გადაწყვეს? ბოლოს, ძალიან რომ მოგვაბებრა თავი, ჰქონდა ვეღარ მოითმინა...

- ბა-ტო-ნო სერგო... იც-ით, რა-ს გეტ-ყ-ით? - რას, ჩემო ბატონო? - ფიანდაზად დავგო რაიონის მდივანი. - რა-ს და, სა-ბავ-შო ბაღ-ის და პო-ლი-კლი-ნი-კის დედა-ც ვა-ტი-რე, მაგრამ პრო-კურა-ტურ-ა მაი-ნც სას-წრა-ფოდ ააშ-ენეთ, პირ-ველ რიგ-ში, თქვენ გამო-გად-გებათ!

გადასაღები არაფერი იყო, როგორც გითხარი, არც ერთი ობიექტი არ იყო აშენებული და მარტო რაიონის მდივანი უნდა ჩაგვეწერა. მან კი თავი მოიკლა, ჯერ ვისადილოთ და მერე რასაც მიბრძანებთ, ის გავაკეთოთ. რესტორანში რაიონის მთელი აქტივი შეიკრიბა. სუფრა ბევრნაირი მინახავს, მაგრამ ეს ნამდვილად სასწაული გახლდათ. სპეციალურად ჩვენთვის მუსიკოსებიც დავაპტივებინათ და ისინი ჯერ კიდევ ჩვენს შესვლამდე უკრავდნენ და მღეროდნენ. ლეჟად გაიკრიფა რაიონის მდივანი. არის ჩვენი ქება-დიდება, მოფერება, ვახტანგური სადღეგრძელოები და ყოველ წუთში ჩვენს პატივსაცემად ისმის ტუში მუსიკოსებისგან... მოკლედ, რაიონის მდივანს და, რასაკვირველია, სხვათაც, პირიდან თაფლი გადმოსდით. რა ბედნიერებაა, რომ სწორედ თქვენ ჩამოხვდით, თორემ სხვა ხომ უცებ გავიმეტებდა და ჩვენთვის მებრალ არასა-სიამოვნო ამბავს მთელს რესპუბლიკას მოსდევდა ეკრანიდან. თუმცა, მდივანმა იქვე ესეც გაურია (ეტყობა, ჩვენს შესაშინებლად):


- ისე, მე კი არაფრის დარდი მაქვს, რადგან ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი ჩემი უახლოესი მეგობარია, სწორედ იმან დამიწინა ამ ადგილზე, ამას წინათ თბილისში შემხვდა და ორი საათი მოკვნილა... - რო-მე-ლი? - დაინტერესდა ჰქონდა... - მერე გეტყვით.



ანტ ტა მიმეულა ციდილმა,
ანტა ცტემლომის დენამა,
მიმეულა ისეუ სიცილმა,
ლაცადიანმა უნამა

- ა-ბ-ლა სჯობს?
- ხალხში უხერხუ-ლია, - უკან დაიხია მდივანმა.
- ყურ-ში მითხარი! - მიიწია ჰქონდა მისკენ სხვა გზა
არ ჰქონდა რაიონის პირველ კაცს და ჩუმად გაუხილა საიდუმლო. ჰქონდაკამ შუბლზე ხელი იტყია.
- აუჰ!
- რა იყო? - ელლა ეცა მდივანს.
- რა იყო და სა-ში-ნე-ლება... ეგ ის-ეთი კა-ცია, ვინმეს რომ ერთ-ხელ აკო-ცებს, იმ-ას სა-ში წლ-ით უშვე-ბს ციხეში. თქვენ კი ამ-ბობ-თ, ორ-ი საა-თი მო-ცნი-ლა-ო...
- არა, მართლა ორი საათი კი არა, ისე ვთქვი. - მოიბოდიშა მან.
- სულერთია!

ჰქონდას შეფასებამ სულ გადარია მდივანი. ლუკმა კინაღამ ყელში გაეხიჩრა და ისე წამოწოთლა, წნევის გაუზომავლად მიხვდებოდა კაცი, რომ ცუდად იყო მერე, ნერვიულობისგან ხველება აუტყდა და მოკლედ, სუფრა კინაღამ ჩაიშალა.
უცებ, ჩვენდა გასაკვირად, რაიკო-მის მდივანმა სუფრას გადააგლო თვალი და მუშტი მძლავრად დაკრა მაგიდას.
- თქვენი დედა ვატირე, მე რომ მიყვარს, ის სად არის, თქვენ მე უკვე მოხსნილი ხომ არ გგონივართ? მე აქამდე სულ ის მიკვირდა, ასეთი ფანტასტიკური სუფრა არსად მინახავს-მეთქი და თურმე მასაც ჰკლებია რაღაცა სულს და გულს, რას ინატრებდი: შემწვარი მწერი, ახალი ტყმალი, კუბატი, ერთი ზომის, საოცრად ლამაზად ჩალაგებული, ლურჯი ფერის ციმორი და ათასი სხვა...



- ახლავ, ბატონო, ახლავ! მოკლევ ამ რესტორნის დირექტორს... - შეშინებული წამოხტა ერთ-ერთი ინსტრუ-ქტორი და ქუდმოგლეჯილი გავარდა სამხარეულოსკენ.
- უკარავად, მაგრამ? - ელლა მოვითმინე მე... - რაზეა ლაპარაკი?
- ო, საოცრება, საოცრება! - გაიღმა მდივანმა, - ახლავე მოიტანენ და დარწმუნდებით, რომ მსგავსი რამ არასოდეს გიგემათ...

- რა არ-ის ას-ეთ-ი? - ვერ მოითმინა ჰქონდა.
- ცოტა ხანი მოთმინება, - იყო პასუხი.
დიდხანს ლოდინი არ დაგვეკრებოდა მალე კუბის კარები ფართოდ გაიღო და თვითონ რესტორნის დირექ-ტორმა ძლივს შემოიტანა უზარმაზარი, ომშიგარავარდნილი ტყა და ფრთხილად დადო გვერდითა მაგიდაზე. რაიკო-მის მდივანმა სიამოვნებით ხელები მოიფშინა და პირველი ულუფა ჰქონდას გადაუღო, მერე მე მერეც პატივი...

- აბა, ვთხოვთ, ბატონებო! - საზეიმოდ დავგროთ ნება ბატონმა სერგომ და თვითონ გაუსინჯა გემო კერძს... მეც მივბაძე მის მაგალითს. ჰქონდა კი, ეტყობა, რაღაცას მიხვდა იგი გაოცებული უყურებს ხან ტაფას და ხან რაიკომის მდივანს.

- მოგწონთ? - იმედინად მკითხა ბატონმა სერგოს. ბარე არ მომეწონა, მაგრამ ადამიანურად შეგეცოდა რაიკომის მდივანი და რაღაც გაურკვეველი წაგიღულულე. - მიჩვევა უნდა, მერე ელარ მოშორდებით! - დამიძებდა აღმასკომის თავმჯდომარემ, - ჩვენ ყველანი ამას ეჭამთ განსაკუთრებულ დღეებში.

- ვინ ქამს მავას? - თავისთვის ჩილაპარაკა ჰქონდა.
- თქვენ რატომ არ იფიქრებთ? - მიუბრუნდა მდივანი.
- მე, მე, ეს ის არ არის? - უცებ ვერ გაიხსენა ოპერატორმა და მე მომიბრუნდა, - მე-რამ, უბ-რა-ლო ხა-ხეია, ბიჭო, არ ქა-მო... გეს-მის შენ?
- ჰო! - თავი დავუქნიე ჰქონდას.
- ხომ კარგია? - თავისას არ იშლის ბატონი სერგო.
- კი, არა უშავს! - ხათრს არ ვუტყებ მე.
- პა-ტი-ე-ცე-მ-უ-ლო... იცი-თ, რა-ს გეტ-ყ-ით...
- გისმენთ, ბატონო!
- არა, მე ვ-ინ მკით-ხავს, მა-გრ-ამ...
- არა, რატომ, თქვენი აზრი ძალიან საინტერესოა...
- ჩე-მი რჩე-ვა თუ გამ-ოგ-ად-გე-ბათ, სა-ნამ რა-იკო-მის პირ-ვე-ლი მდი-ვანი ხარ-თ, ის მიი-რთვ-ით, რა-ც სუფ-რა-ზე-ვა, მე-რე კი, რო-ცა მოგ-ხს-ნიან, ძლო-მავ-ე ქა-მეთ შემ-წვა-რი ხა-ხე-ი, მა-ღ-ლო-ბა ღმე-რ-თს, ტო-ნა ეჭ-სი კაბ-ი-ია!

მეტიხმეტად ცელტი ჟურნალისტი გვეყვდა ერთი და ამიტომაც ვერ დავსაბ-ვლებ, თუნდაც ოდნავ შეეცოლო გვართ და სახელით ერთ დღეს საშასურში უმოწყალოდ გალახული გამოვხადდა მარ-თალია, შავი სათვალე ეკეთა, კოსმე-ტიკაც უხვად გამოიყენებინა, მაგრამ ნა-ვეფის კვალი ვერაფრით დავფარა.
- რა დაგემაართა, ვინ გავიგებთ ასე?
- ჩემმა ქვარმა, - ელარ დამალა დაზარალებულმა.
- კი, მაგრამ ის ხომ ავსტრიაშია?
- მეც ასე მეგონა!

